

მერდეა ეჭვაშეფედ ეჭვაშავაზი

ამობრწყინდა ვედას მთიდან,
ვით თოთხმეტი დღის მთვარე,
მადლობა დმერთს, მისი მისეგლით
განათდა ჩვენი მხარე.
მოგვიგანა დვოთის ბრძანება,
მარგალიტი წყობილი,
გვერდით ახლავს აბუ ბუქირ
უდალატო ძმობილი.
შექი მოპფინა მედინას,
მისი მოსეგლით გავლადით,
კეგებებით შეამგადს
და შევსძახით, მობრძანდით!
შენ ხარ მზე და შენ ხარ მთვარე,
ქვეყნის მანათობელოთ,
მობრძანდი, დვოთის საყვარელო
რჯულის განმმარტებელოთ.
მოგვაშორა ძველმანგბი
და შეგვმოსა ახლებით,
სული ჩვენი გაგვინათლა,
რწმენის ჰეშმარიტებით.
უქადაგა მცდარ მორწმუნეთ,
მიკაცეთ პატრონს სიციის
ყველა ვინც მიკაცეთ მუპამმედს
კორვებს ბადებს სამოთხის.
გაგვიძრტა დვოთის ბრძანება
და ჩვენც გულით ვენდობით,
სიტყვას მუდამ ჭუატრონებთ,
გვემმო, ჩვენაც ვემმობით.
მხარს მოგცემთ მუდამ დმერთმანი,
არ გვწვევია დალატი.

შენ რომ სანდო ვარსკვლავი ხარ,
ეჭვიც არ გაძეს ამაში
ამობრწყინდა ვედას მთიდან,
ვით თოთხმეტი დღის მთვარე,
მადლობა დმერთს, მისი მისეგლით
განათდა ჩვენი მხარე

დიანეთის საქათა სამართვალოსგან
საჩუქარია.

Peygamberim Öğreniyorum
Güclüce

დიანეთის საქათა სამართვალო



መስጠና የኩልናዎች የኩልናዎች

(ალლაპის ლოცვა და დიდება გას)



დიანეთის საქმეთა სამსართველოს
გამოცემლის გამოცემლის 639
საბაზო ფილიალი: 160

ჩემს შუამაგალს გეცნობი
(მომზადებულია რელიგიის, კულტურისა და
ეთიკის მახასიათებლთაგან შემდგარი კომისიის
მიერ)
კოორდინატორი:
დოქტორი ომერ მენჯერ

გამოცემები რედაქტორი:
დოქტორი იუსტინ სალმანი

ვიზუალური ხელმძღვანელი:
ნურულლაჟ რუბაი

საკონსულტაციო კომისია:
პროფ. დოქ. იბრაჰიმ სარიჩამი
სევდი ყარაბეგური
სუაკი ქემალ იაზგიში

იდუსტრიაცია:
ოსმან თურკანი
2006-06-Y-0003- 639
ISBN 975-19-3913-5

გამოცემები:
ERCE Matbaacılık
ტელ: (0312) 394 05 65
ანკარა, აპრილი 2006

დიანეთის საქმეთა სამსართველო:
სასულიერო საგამომცემლო სამმართველოს
ხელმძღვანელობა
მისამართი: ქ. ანკარა. ჩანქაია ესპიშეირის გზის
მე-9 ქმ
ტელ: 0 (0312) 295 73 06
ფაქსი: 0 (312) 284 72 88
www.dianet.gov.tr
diniyayinlar@diyanet.gov.tr

წიგნი გამოიცა:
აჭარის არ. მუსლიმანთა
სასულიერო-სამუშაოთო სამმართველოს
ინიციატივით

თარგმანი შეასრულა:
შპს „თარგმანი“
ქ. ბათუმი ქუთაისის ქ. №19
tarjiman_ltd@yahoo.com

შინასიტყვაობა

გამარჯობათ ბავშვებო!

გახსოვდეთ, მუჭამედ შუამაგლის ცხოვრების შესწავლა, მისდამი ნდობა და სიყვარული უდიდესი ბედნიერება. მისი ცხოვრები და მოღვაწეობა ჩვენთვის ნათელი მაგალითებითაა გაჯერებული. სწორები, წინამდებარე წიგნში გაცენილია ამ უფირფასების აღამიანის ცხოვრებისა და ისლამის ახსნა-განმარტებისათვის, პოპულარიზაციისა და დამკიდრებისათვის მისი თავდაცუზოგავი შრომის შედეგებს.

უპირველეს ყოვლისა, მუჭამედ შუამაგლი იყო შეიძლების მოსიყვარულე და მზრუნველი მამა, მეუღლის მიმართ თავაზიანი და მოწყალე. სანდო და ერთგული მეგობარი. იგი აღამიანებს სიყვარულს, სიკოცეს, თავაზიანობას, განათლებას, სამართლიანობას, მორალურსა და ზნუბრივ სისაცებაქს, სხვებისათვის დახმარების გაწევას უქადაგებდა.

მას სურდა, ადამიანებს ხელი ავითო სიცრუებებს, პირვერობაზე, ქურდობაზე, კაცის კვლაზე, ალკოჰოლურ სასმელებზე, აზარტულ თამაშებზე, სხვისდამი ზიანის მიუწვდის განზრახვაზე, ბუნებისადმი უდიერ მოპერობაზე.

მუჭამედ შუამაგალმა კაცობრიობის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის უამრავი მორალური და ფიზიკური ტანჯვა გადაიტანა, მრავალი ურთულესი დაბროლება გადალია: მშეირ-მწურვალს, ურწმუნოთა მიერ რისხვადაბეხილს, სამშობლოდან გაძევებულს, ბრძოლებში დაჭრილ-დაქანცულს რწმენისა და იდეისათვის არასდროს უდალატის, ვინაიდინ მას ალლაპისაგან დაკისრებული პქონდა მისია – ადამიანებისათვის აქსენტი ისლამი, – გადარჩენის ერთადერთი გზა!

საყვარელო ბავშვებო!

ჩვენი სარწმუნოება ისლამია, შუამაგლი-მუჭამედი, წინადა წიგნი ეთ ყურანი. თუ ჩვენ ალლას ვირწმუნებოთ, გვეყვარებოთ, მუჭამედ შუამაგლი და თუ ყურანის ბრძანებებს შევასრულებთ, ბედნიერი და წარმატებულები ვიქნიოთ. ამიტომაც მუჭამედ შუამაგლი კარგად უნდა გავიცნოთ, შევიყვაროთ და მაგალითიც მისგან ავიღოთ. ამ წიგნის მიზანიც სწორებ ესაა. იმედი გვაქვს, დაინტერესდებით და ხალისით წაიკითხავთ.

თქვენ ჩვენი მომავალი ხართ და ძალიან გაიყვარხართ...

დიანეთის საქმეთა სამმართველო

ცეიცლა ეუკაეთ ეუკაეთა დიანეთი



დიანეთის საქმეთა სამმართველო

ანკარა

სარჩევი



ნაწილი პირველი ობოლი მუჟამმედი

წინასიტყვაობა	04
ყველა მას ელოდებოდა	09
ბედნიერება მოევლინა სამყაროს	11
დედასთან პირველი განშორება და	
უცხო მხარეში ყოფნა	13
დედის უკანასკნელი ამბორი	16
ბაბუა აბდულმუზალიბი	17
ბიძა ქრუ თალიბი	18

ნაწილი მეორე ახალგაზრდა მუჟამმედი

მხარდაჭერა უსამართლობის	
წინააღმდეგ ბრძოლაში	21
გზა ქორწინებისაკენ	23
სამაგალითო მეუღლე და	
სამაგალითო მამა	25
მას ყველა ენდობა	28

ნაწილი მესამე მუჟამმედს შუამავლობა ებობა

პირველი შეხვედრა ჯებრაილანგელოზთან	31
მესამედება პატიჯა	33
ისლამი ვრცელდება	35
პირველი მუსლიმანები და ერქამის სახლი	37
დაშინება იწყება	39
მწუხარების წელი	41
ახალი სამშობლოს ძიება	42
ეთორპია	42
ტაიფი	45
აქაბა: მედინასაკენ მიმავალი გზა	45

ნაწილი მეოთხე მედინაში გადასახლება (ჰიჯრეთი)

მივდივართ, მაგრამ დაებრუნდებით	49
ყველა მას ელოდებოდა	52

ნაწილი მეხუთე მედინა: ახალი ცივილიზაციის ქალაქი

ახალი ცივილიზაციია ყალიბდება	55
მეტეორი	55
ეზანი	56
დასახლების ადგილი	56
ძმობა	56
ერთად ცხოვრება	57
ყველა მოსწავლე გახდა	59
რამაზნის თვე	59
შუდლი გრძელდება	60
გარდატეხის წერტილი: ბედირი	61
მწარე გამოცდილება; უჟუდი	63
ყველა გზა იცდება: ტერაქტები	65
ძნელი გამოცდა: პენდეკი	66

ნაწილი მეექვე სახლში დაბრუნება

პუდებიეს შეთანხმება	69
მიზანი-მოული მსოფლიო	71
მექას დაპყრობა და სახლში დაბრუნება	72

ნაწილი მეშვიდე ყველა მასზე ტიროდა

გამოსამშვიდობებელი პაჯობა და	
გამოსამშვიდობებელი მიმართვა (სუთბუ)	75
გამომშვიდობება	76
განშორება: ყველა მასზე ტიროდა	77
მუჟამმედ შუამავლის ცხოვრების	
მნიშვნელოვანი თარიღები	79



ნაწილი პირველი ობოლი მუსამალი

კველა მას ელოდებოდა

ისლამისტინა პერიოდს ჯაჰილიე ანუ უმეცრების ხანა ეწოდება. იმ დროში ადამიანები პირველყოფილური ცხოვრების წესებით ცხოვრობდნენ. უქონელს, უპატრონოს, უმწეოსა და დარიბ-დატაკს მონობის უდელი ედგმებოდა და საზოგადოებისგან ირიყებოდა; მეზობლობასა და ნათესაობას არავითარი მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდა; ხალხი ერთმანეთს აღარ ენდობოდა. ისედაც უუფლებო ქალი, საერთოდ აღარ ფასდებოდა, პატარა გოგონებს ცოცხლად მარხავდნენ. ადამიანები მცდარ რწმენებს ადგნენ და კერპებს ეთაყვანებოდნენ. იმ ხანაში მცხოვრები ორი პიროვნება არსებულ ვითარებას შემდეგნაირად გადმოგვცემს:

„ჩვენ უმეცრად და ბარბაროსულად ვცხოვრობდით. კერპებს ვეთაყვანებოდით, უზნეობას ჩავდიოდით, ნათესავებს ვექიშპებოდით, მეზობლობას აღარ ვაფასებდით. შეძლებული შეუძლოებს ვჩაგრავდით.“

„ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც უმეცრების (ჯაჰილიეს)

ხანაში იცხოვრა. კერპებს ვეთაყვანებოდით, საკუთარ შვილებს ვხოცავდით. ერთი ქალიშვილი მყავდა. როცა დავუძახებდი, მაშინვე ჩემთან მოირბენდა. ერთ დღეს დავუძახე და ისიც მაშინვე ჩემთან გაჩნდა. ჩვენს სახლთან ახლოს მდებარე ჭასთან მივიყვანე და ერთი მოქნევით ჭაში გადავუშვი. „მამა!“ – ეს იყო მისი უკანასკნელი შეძახილი, რომელიც დღესაც უურებში ჩამესმის.

რა სისაძაგლე და განუკითხაობაც იმ ხანაში ხდებოდა, მხოლოდ ზემოთ ოქმულით როდი შემოიფარგლება:

ადამიანები კერპებს სცემდნენ თავების. კერპებით იყო გავსებული ალლაპის სახლი – ქაბეც.

ადამიანის ღირსება წულს გაუტოლდა. ბაზარზე მონა, სხვა ნებისმიერი საქონლისა და ნივთის მსგავსად, იყიდებოდა.

შეძლებული უმწეოს ჩაგრავდა, არ არსებობდა ისეთი სტრუქტურა, სადაც დაჩაგრული სიმართლის პოვნას შეძლებდა. ავისმქნელი, ბოროტი საქციელის მიუხედავად, ყოველთვის მართალი გამოდიოდა.

ხალხი ლოთობით, მრუშობითა და დილამდე აზარტული თამაშით იყო გატაცებული.

ზოგიერთი წუხდა ამ ვითარების გამო, მაგრამ ასეთები უმცირესობას წარმოადგენდნენ და არსებული სიტუაციის გამოსწორება არ ძალუძღაოთ.

გული შესტკირდათ და იმ იმედითდა ინუგეშებდნენ თაგს, რომ გამოჩნდებოდა ვინმე ისეთი, ვინც შეძლებდა არსებული აღვირას სნილობის გამოსწორებას. ნეტავი, ალლაპი თუ გამოუგზავნიდა მათაც შეამავალს ისე, როგორც ეს წარსულში ხდებოდა?!

ყველას ამ კითხვის პასუხი იინტერესებდა. წარსულშიც პქონდა ადგილი ასეთ ვითარებებს. ყოველი ასეთი განუკითხაობის დროს ალლაპი ადამიანებს უგზავნიდა სწორი გზის მაჩვენებლებს შეამავლებს. ის წარმოგზავნილი შეამავალები სწორ გზას ქადაგებდნენ. ადამიანთაგან ზოგს სწამდა მათი, ზოგნი კი უარს აცხადებდნენ.

მაგალითად: წუპი, სალიპი, პუდი ალლაპის მიერ წარმოგზავნილი შეამავლები იყვნენ. ის ხალხი, რომლებსაც

ეს შეამავლები მოევლინათ, მექას მცხოვრებთა მსგავსად, ალლაპის ჭეშმარიტი გზიდან გადამცდარნი იყვნენ. ამიტომაც მათ გასაფრთხილებლად გამოგზავნა ალლაპმა შეამავლები, რომლებმაც მისი ბრძანებების გადასაცემად უდიდესი ჯაფა გასწიეს.

იბრაჟიმ შეამავლმაც უსიამოვნებები გადაიტანა. მათ, ვისაც მისი შეამავლობა არ სწამდათ, მისი კოცონზე დაწვაც კი სცადეს, მაგრამ ალლაპმა ისხნა იგი ამ განსაცდელისგან.

ალლაპმა ღვთიური წიგნი გარდამოუვლინა ზოგიერთ შეამავალს, რომლებმაც ამ წიგნების მეშვეობით ხალხს ჭეშმარიტება უქადაგეს: მუსა (მოსე) შეამავალს თევრათი (თორა) გარდმოუვლინა, დავუდ (დავითი) შეამავალს – ზებური (ფსალმუნები), ისა (იესო) შეამავალს კი – ინჯილი (სახარება). ყველა შეამავალი ადამიანებს სამართლიანობისაკენ, სიკეთისა და სისპერაკისაკენ მოუწოდებდა.

ისა შეამავლის შემდგომ დაახლოებით 6 საუკუნე იყო გასული. ადამიანები კვლავ ერთმანეთისადმი მტრობისა და ალლაპისადმი დაუმორჩილებლობის გზას დაადგნენ. სწავლულები ფიქრობდნენ, რომ უკვე მოახლოებული იყო ახალი შეამავლის მოვლინების დრო. ყველა ახალი შეამავლის მობრძანებას ელოდა.

ბედნიერება მოევლინა სამყაროს

აპრილის მიწურულს აბდულმუტალიბი შვილიშვილის დაბადებას ელოდა. თვალები გზისაკენ პქონდა. ეს სასიხარულო ამბავი ყოველ წუთს შეიძლებოდა ეცნობებინათ მისთვის. სულ მცირე ხნის წინ განცდილი ამბავი გაახსენდა და ქაბესკენ მიტრიალდა. თვალწინ წარმოუდგა, რაც მაშინ მოხდა. გაახსენდა, თუ როგორ შეხვდა ქაბეს დასანგრევად მოსულ იემენის მმართველ

**მუსამმედ შეამავალი
დაიბადა 571 წლის
20 აპრილს**

ღვევის



„განა არ
გინახავს, შენდა
დმტრომა რა
დამართა სპილოს
პატრონებს? განა
არ გააცრუა მათი
ხრიდები? მათ
ზემოდან
გამოუშვავნა
ებაბილის ჩიტები.
მათ (ჩიტებმა)
დაუშინეს
გამოწვარი თინის
ქვები. ისინი
დაამსგავსა
გამოფიტული
მარცვლის
ჩენჩოს.“

(სურა ფილი)

„განა მან ობოლი
არ გნახა და არ
შეგიფარა?“

(სურა დუჭა, აითო 6)

ებრებეს და როგორ წაართვა მას აქლემები. ასევე გაახსენდა, რაც მაშინ ებრებეს უთხრა: „მე აქლემების პატრონი ვარ, ამდენად მე მხოლოდ მათი დაცვა მევალება. ქაბეს პატრონი ლიდი ალლაპია. დარწმუნებული ვარ, მას ალლაპი დაიცავსო.“ ებრებე კი, მისგან ქაბეს გადარჩენისათვის თხოვნა—მუდარას ელოდა. ალლაპმა მართლაც დაიცვა ქაბე. ამით აბდულმუტალიბმა ერთხელ კიდევ იგრძნო ღმერთის ძალა და სიდიადე.

— შვილო აბდულლაპ!— თქვა თავისთვის და გული შეუდონდა. აბდულლაპი ამინგზე დაქორწინებიდან მცირე ხნის შემდეგ დაიღუპა. ახლა კი შვილი შვილის დაბადების ამბავს მოუთმენლად ელოდა.

ამ დროს მახარობელი მოიჭრა:

— სამახარობლო მინდა, აბდულმუტალიბ, შვილი შვილი შეგეძინათ!— აღტაცებით მიაძახა მახარობელმა.

მოხუცმა იგრძნო, როგორ დაუწყო გულმა უფრო ძალუმად ცემა. თვალებიდან სიხარულის ცრემლი გადმოეღვარა.

სწრაფი ნაბიჯით მივიდა ოჯახში. სახლში ყველა მხრიდან პაწაწინა შვილი შვილის ტირილი ისმოდა.

ნადვლიანი სიხარული შემოაწვა გულს. ახალშობილი მკერდზე მიიკრა. როცა აკოცა და დაყნოსა, აბდულლაპის სურნელი იგრძნო. თვალები ცრემლით დაეცვარა და რომ არავის შეენიშნა, ამინეს მიუბრუნდა:

- ბავშვს რა დავარქვათ?— პკითხა.
- მუპამმედი!— უპასუხა ამინემ

მოხუცი ერთი წუთით შეყოვნდა. ეს სახელი მისი ოჯახისათვის უცხო იყო. ამინემ აუხსნა, რომ მას სიზმარში ხმა ჩაესმა: „შენ ვაჟი უნდა შეგეძინოს, მას მუპამმედი დაარქვი!“ რადგან განგებამ ასე ინება, აბდულმუტალიბმაც ობოლ შვილი შვილის მუპამმედი დაარქვა.

შემდეგ მოხუცმა პატარა შვილი შვილი ქაბეში წაიყვანა. ხელები აღაპყრო და შვილი შვილის ბოძებისათვის ალლაპისადმი მადლიერება გამოიტქა. ახალშობილზე ამ სახელის დარქების მიზეზით დაინტერესებულებს იგი ასე პასუხობდა:

- რათა ალლაპმაცა და ადამიანებმაც ხოტბა შეასხან მას!

როცა აბდულმუტალიბი ქაბედან სახლში დაბრუნდა, ამინესთან ახალშობილის სანახავად მისული თავისი ცოლი და ვაჟი—აბბასი დახვდა. აბბასი ჯერ კიდევ 3 წლის იყო. იგი მუპამმედთან ცრონილად მივიდა, გაკვირვებული თვალებით ჯერ ბაგშვი შეათვალიერა, შემდეგ პატარა ხელით მას სახეზე მოეფერა, დაიხარა და აკოცა.

დედასთან პირველი განშორება და უცხო მხარეში ყოფნა

მექა თავისი კლიმატური პირობების გამო ბაგშვის აღზრდისათვის შესაფერისი ადგილი არ იყო. ამიტომ



მუკამმედ
შუამაგალი უძვე
პატიჯანე იყო
დაქორწინებული,
როცა მექაში მის
სანახად პალიმე
ჩამოვიდა.
შუამაგალი მას
გადაეხვია და ასე
მიმართა:
„საყვარელო
დედილო!“ მიძას
გაუმასპინძლდა და
ჰქითხა, ხომ
არაფრის უჭირდა.
პალიმე სურსათის
ნაძლევბობასა და
გვალვაზე ჩამოაგდო
სიტყვა. მუკამმედ
შუამაგალმა მას 40
ცხვარი და ერთი
აქლემი აჩუქა.

ღღღღღღღღღღ

მექაში მცხოვრები ბევრი ოჯახი, ჯანმრთელად აღზრდისათვის ახალშობილს სოფელში ძიძასთან აგზავნიდა, სადაც ბავშვის აღზრდა შემოსავლის ერთ-ერთი წყარო იყო.

მუკამმედის დაბადებიდან ერთი კვირის თავზე, ტრადიციის შესაბამისად ამინეც მიძის ძებნას შეუდგა. მაგრამ არც ერთ მიძას არ სურდა ქვრივის შეილის აყვანა, რადგანაც ფიქრობდნენ, რომ მისგან სასურველ ანაზღაურებას ვერ მიიღებდნენ.

აბდულმუტალიბიც მიძის ძებნით იყო დაკავებული. დიდი ხნის ძებნის შემდეგ იპოვა ერთი ქალბატონი, რომელსაც პალიმე ერქვა. „ჩემს ობოლ შვილიშვილს მიძობას თუ გაუწევო“, – ჰქითხა მას. პალიმე დაფიქრდა, ობოლი ბავშვის აყვანა არ სურდა, მაგრამ იმ დღეს რადგანაც ისეთი ბავშვი ვერ იპოვა, რომლის აყვანაც უფრო სასურველი იქნებოდა, ქმარს შეუთანხმდა და აბდულმუტალიბის წინადადებას დათანხმდა, ბავშვი აიყვანა და მგზავრობის სამზადისი დაიჭირა. ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ სოფელს მიაღწიეს.



მუკამმედი ახალ ოჯახში სწრაფად იზრდებოდა. ბუძუმტები შეიმა და აბდულლაპიც შეეჩივნენ მას. სოფლის გარემოში დარბოდა, თამაშობდა, ცხვარს მწყემსავდა და დღეებს მხიარულად ატარებდა.

პალიმემ და მისმა მეუღლემ თავიდანვე შენიშნეს, რომ მუკამმედი განსაკუთრებული ბავშვი იყო. ამაში ისინი იმ გარემოებამ დაარწმუნა, რომ მათ ოჯახში მუკამმედის შესვლის დღიდან მხიარულებამ და ხვავბარაქამ იმატა.

დრო სწრაფად გავიდა. 5 წლის მუკამმედი დედასთან უნდა დაბრუნებულიყო. პალიმე და მისი ოჯახი იმდენად შეეჩივნენ მას, რომ მისგან განშორება აღარ უნდოდათ... პალიმემ მუკამმედი მექაში დააბრუნა დედასთან... განშორების დროს ცრემლი ვერ შეიკავა, ისე ეწყინა, თითქოსდა საკუთარ შვილს შორდებოდა. მექა მწუხარემ დატოვა და სოფელში დაბრუნდა.

მუკამმედი დღეებს დედასთან ატარებდა და მამისეულ კერას თანდათან ეჩვეოდა.

დედის ძმები მედინაში ცხოვრობდნენ. ამინემ მუკამმე-

დიმათი გაცნობისა და ცოტა ხნით იქ დარჩენის მიზნით, ბიძებთან წაიყვანა. აღმზრდელი უმშე ეიმენიც თან ახლდა. მედინაში ერთი თვე დაჲყვეს. შემდეგ მექაში დასაბრუნებლად გზას დაადგნენ. სოფელ ებვაში, ამინე შეუძლოდ გახდა.

დედის უკანასკნელი ამბორი

მექაში ჩასვლას ხუთი მომქანცელი დღე მოუნდა. უგან დაბრუნებული უმშე ეიმენი აბდულმუტალიბს ეძებდა გამალებით. იმას ფიქრობდა, როგორ აეხსნა აბდულმუტალიბისათვის ამინეს გარდაცვალების ამბავი. ერთი წერთი მუჭამედზე შეაჩერა მზერა. მამით თბოლ მუჭამედს, ადარც დედა ჰყავდა.

უმშე ეიმენმა, როცა აბდულმუტალიბი იპოვა, ცრემლები ვეღარ შეიკავა. მართალია, აბდულმუტალიბს რძლის ავადმყოფობის ამბავი გაეგო, მაგრამ ჯანმრთელობის უკანასკნელი მდგომარეობისა არაფერი იცოდა, ამიტომაც ძალიან დარდობდა. უმშე ეიმენთან ერთად ამინე რომ ვერ დაინახა, შეშფოთდა. უმშე ეიმენის სახის გამომეტყველებიდან იგრძნო, რომ მის თავს რაღაც უბედურება ტრიალებდა. უმშე ეიმენმა თავი დახარა და ამინეს გარდაცვალება აუწყა. აბდულმუტალიბმა, თითქოსდა ტყივილის დასაოკებლად, მუჭამედი მხერვალედ ჩაიკრა გულში.

შემდეგ უმშე ეიმენმა დაწვრილებით მოჰყვა, რაც მოხდა: მედინადან რომ წამოვიდნენ, ორი დღის მგზავრობის შემდეგ ებვაში ამინე შეუძლოდ გახდა. როგორც კი აღსასრულის მოახლოება იგრძნო, შვილს ესაუბრა, მას უკანასკნელად გამბორა და მიიცვალა.

მუჭამედი, რომელმაც მამა მედინას მიწას, ხოლო დედა კი ებვას მიწას მიაბარა, ახალ თავშესაფარს ეძებდა.

ამის შემდგომ მასზე ბაბუას – აბდულმუტალიბს უნდა ეზრუნა.

ბაბუა აბდულმუტალიბი

სმა გავარდა „აბდულმუტალიბი მოკვდაო“. ტიროდა მთელი ოჯახი. მუჭამედიც თთახის ერთ კუთხეში უხმოდ იცრემლებოდა. ამ ამბავმა ყველაზე მეტად მას ატკინა გული, რადგანაც ბაბუა მამასავით უყვარდა. იგი იმდენად თბილად ეპყრობოდა, რომ მისთვის თბლობა არ უგრძნობინებია.

ორი წელი ბაბუასთან განუყრელად იცხოვრა. ერთად იყვნენ ყველებან. როცა მექაში გვალვა იყო, ბაბუამ იგი წვიმის ვეღრებაზეც კი წაიყვანა. უმისოდ არ მიირომევდა. სადაც უნდა წახულიყვნენ, მას ყოველთვის საპატიო ადგილზე დასვამდა. ვინც ამის მიზეზით დაინტერესდებოდა, ასე პასუხობდა:

„– აღლაპის ნებით, იგი მომავალში ძალიან დიდი პიროვნება უნდა გახდეს“.

მუჭამედი გულამოსკნილი ტიროდა. უცებ ხელის შეხება იგრძნო, გონს მოეგო, მიიხედა. წინ მისი ბიძა – ებუ თალიბი იდგა. ბიძამ ხელი მოპკიდა, ფეხზე წამოაყენა, თმაზე მიეალერსა და უთხრა: „ბაბუამ შენი თავი მე ჩამარაო“. მუჭამედი ამის გაგონებაზე ბიძამისს მოეხვია.

**მუჭამედ
შუამაგალს
წლების შემდეგ,
როცა ბიცოლა-
ვატიმა ესედის
ასული
გარდაეცვალა,
ძალიან ეწყინა.
მისდამი
სიყვარული
იმდენად ძლიერი
იყო, რომ
შუამაგალმა ეს
გრძნობა ამ
სიტყვებით
გამოხატა: „დღეს
დედა
გარდამეცვალა“
და მის სუდარად
(ქეფინად)
საძუთარი პერანგი**

ბიძა აბუ თალიბი

მუკამმედმა გაიგო, რომ აბუ თალიბი დამასკოში უნდა გამგზავრებულიყო. შესაძლოა მოგზაურობა რამდენიმე თვეს გაგრძელებულიყო. ბიძამისის გარეშე მექაში მარტოდ დარჩენა არ სურდა. ამიტომ ბიძამისს დამასკოში წაყოლის სურვილი გაუმხილა. ბიძამ აუხსნა: მას არ წაიყვანდა იმ მიზეზით, რომ მოგზაურობა მეტად ხანგრძლივი და მომქანცელი იქნებოდა, შესაძლოა ამ ყველაფერს იგი დაეავადმყოფებინა.

მუკამმდი ატირდა, აქლემს ავშარაში მოჰკიდა ხელი და ბიძამისს შეპლადადა: "შენ თუ წახვალ, მე ვიდასთან დავრჩე?"

ძმისწულის სიტყვებმა აბუ თალიბზე სერიოზული გავლენა მოახდინა:

— კარგი, შენაც თან წაგიყვან. ამის შემდეგ მე და შენ ადარასოდეს დავშორდებით ერთმანეთს.— უპასუხა მუკამმედს.

ამის შემდეგ აბუ თალიბს მუკამმედი მართლაც ადარასოდეს მოუშორებია გვერდიდან და სადაც მიღიოდა, ისიც თან მიჰყავდა.

აბუ თალიბს მრავალსულიანი ოჯახი ჰყავდა და ეკონომიკურადაც უჭირდათ. ის და მისი მეუღლე უოველთვის ცდილობდნენ, რომ მუკამმედისთვის ეს არ ეგრძნობინებიათ. მუკამმედიც ბიძასა და ბიცოლას დიდი სიყვარულით ეპყრობოდა, ხან საქმეებში ეხმარებოდა, ხან ფარას მწყემსავდა, ხან ძროხას. ბიცოლა მას

საკუთარი შვილივით უვლიდა და არაფერს აკლებდა. ასეთ ვითარებაში ბიძასთან გაიზარდა და დავაშებულა და მუკამმედი.



**როცა მუკამმედს
ჰეითხეს, რომ
ახალგაზრდობაში
თაყვანს სცემდა თუ
არა ქერპებს და
სვამდა თუ არა
ალკოჰოლურ
დასაღევებს, მან
უპასუხა: "არა!"**

**იგი ბავშვობიდანვე
შორს იყო იმ
უწმინდურობათაგან,
რასაც იმ
საზოგადოებაში
ქქონდა ადგილი.**

ღღღღღღღღღღ

**მისცა, მუკამმედ
შუამავალმა,
ბიცოლასადმი
ასეთი
სიყვარულის
მიზეზით
დაინტერესებულებს,
ასე უპასუხა:
— ბიძაჩემის— ებუ
თალიბის შემდეგ,
ბიცოლაჩემის
მსგავსად არავის
უზრუნია ჩემზე.
იგი ჩემთვის
დედასავით იყო.
საკუთარ
შეილებზე ადრე
მე დამანაყრებდა
და დამვარცხნიდა.**



ნაფილი მეორე ახალგაზრდა მუკამმაღი

თანადგომა უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში

როგორც ვთქვით, იმ ხანაში უმწეონი და დარიბ-დატაქი მუდამ იჩაგრებოდნენ, მდიდრები და შეძლებული კი ყოველთვის იმარჯვებდნენ და მართლდებოდნენ. ამ მდგომარეობას წერტილი უნდა დასმოდა. სწორედ ამ მიზანმა გააქრთიანა მექელი ახალგაზრდები.

ჯუდანის ვაჟის—აბდულლაპის სახლში შეკრებილთა შორის მუკამმდებიც იყო. ყველას კარგად ესმოდა, თუ რა გარევნილობისა და უზნეობის ჭაობში იმყოფებოდა საზოგადოება. „დირსებულთა საზოგადოების“ სახელით შეთანხმდნენ და ერთმანეთს პირობა მისცეს, რომ დაიცავდნენ მექას მკვიდრთა და ჩამოსულთა უფლებებს. კარგად იცოდნენ, თუ რამდენად ძნელი იყო ამის განხორციელება, მაგრამ ამ სირთულეს არ შეუშინდნენ და უშედავათო ბრძოლა გააჩადეს ადამიანთა უფლებების დასაცავად.

იმ დროს ერთმა ვაჭარმა, რომელიც ზებიდის ტომს ეკუთვნოდა, მექაში გასაყიდად სამი აქლემი საქონელი

ებუ ჯეპილი:
მისი ნამდვილი
სახელი ამრ
პიშაძის ქე. იგი
უურეთის ტომის
მაღალი წრის
წარმომადგენელთა
განი იყო.

ისლამისადმი
მტრობის გამო
მუშამბეჭდ
შუამავალმა მას
ებუ ჯეპილი
შეარქვა. ებუ
ჯეპილი უმეცართა
წინამდობლს
ნიშნავს.
კლასი

ჩამოიტანა. ებუ ჯეპილს, რომელიც მექაში ერთ-ერთი გავლენიანი ფიგურა იყო, საქონელი მოეწონა და რადგანაც ვაჭარი უცხოელი იყო, მისი ჩალის ფასად ხელში ჩაგდება მოინდომა. ვაჭარს ძალზე დაბალი და მისთვის მიუდებელი ფასი შესთავაზა. რადგან ვაჭარი მის შეთავაზებულ ფასზე არ დაეთანხმა, ებუ ჯეპილმა თავისი გავლენით ისარგებლა და დანარჩენ მუშტრებს დაემუქრა, რომ საქონელი არ უყიდათ და გასაყიდი დარჩენილიყო. კარგად იცოდა მან, რომ მექაში მისგან უკელას ეშინოდა და არავინ ისურვებდა მასთან დაპირისპირებას, ამიტომაც სახლში გულდამშვიდებული და დარწმუნებული წავიდა.

ვაჭარი დაიბნა. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა აღარ იცოდა, რა ეღონა. სწორედ ამ დროს ვიღაცამ ჩასჩურჩულდა: „მუჰამედთან მიდი, ის დაგეხმარებაო“. ვაჭარს შეტი რაღა დარჩენოდა, უკანასკნელი იმედით მივიდა მასთან და უკელაფერი მოუყვა. მუჰამედმა მოუსმინა, ბაზარში გავიდა და ვაჭრის მთელი საქონელი რეალურ ფასად იყიდა. შემდეგ ებუ ჯეპილთან მივიდა, კარზე დააკაკუნა და იგი ამგვარი საქციელის გამო გააფრთხილა. მუჰამედის ამ გაბედულებით გაკვირვებულმა ებუ ჯეპილმა აღარც კი იცოდა, რა აასუხი გაეცა მისთვის და კრინტიც ვერ დაძრა. მუჰამედის ქომაგობით გაკვირვებული დარჩა არა მარტო ებუ ჯეპილი, არამედ უკელა ის, ვინც პირადად იხილა და ვის უურამდეც მიადწია ეს ამბავი.

იმ განუკითხაობის პერიოდში, ერთი იემენელი თავის ქალიშვილთან ერთად ქააბეს მოსანახულებლად მექაში ჩავიდა. ქალაქში შესვლისთანავე მათ ვიდაც უცნობი

მიუახლოვდა. თვალი ქალიშვილზე ეჭირა. აშკარა იყო, ცუდი ზრახვები ამოძრავებდა. მამა შეშფოთდა. ირგვლივ მიმოიხედა, იქნება ისეთი ვინმე ეპოვა, რომელიც მათ დაეხმარებოდა. მზაკვარმა უცნობმა ქალიშვილს ხელი სტაცა და ისე წაათრია, რომ უმწეო მამისათვის უურადღებაც არ მიუჰცევია. მამა, რომელმაც ქალიშვილის გამტაცებელს წინააღმდეგობა ვერ გაუწია, მოსთქვამდა და გამვლელსა და გამომვლელს შველას თხოვდა. თვითმხილველებმა ურჩიეს, რომ მისულიყო და თავისი მდგომარეობა „დირსეულთა საზოგადოებისთვის“ აეხსნა.

სხვა გამოსავალი აღარ ჰქონდა. პირდაპირ ქაბესთან მივიდა და დაიყვირა: „არავინაა აქ დირსეულთა საზოგადოებიდან ვინმე?“. მაშინვე რამდენიმე შეიარაღებულმა კაცმა მიირბინა მასთან. შეეშინდა... „რა გაგჭირვებია, უცნობო?“ - ჰკითხეს მას. იემენელმა უკელაფერი მოუყვა, რაც შეემთხვა. შეიარაღებულები მაშინვე მიხვდნენ, რომ უცნობისთვის ქალიშვილის წამრმთმევი ნუბეიპი იქნებოდა და პირდაპირ მასთან მივიდნენ, კარში შეჩერდნენ და მკაცრად მიმართეს: „ფუ, შენს კაცობას! რამოდენა წარმოდგენა გაქვს საკუთარ თავზე? ახლავე გამოუშვი ამ კაცის ქალიშვილი!“ ხოლო, როცა შეატყვეს, რომ ნუბეიპი ქალიშვილის გამოშვებას არ აპირებდა, იგი უფრო კატეგორიული ტონით გააფრთხილეს: „ჩვენ ამ საქმეს თავს არ გავანებებთ. პირობა გვაქვს ერთმანეთზე მიცემული, დაჩაგრულო მხარეში ამოუშვებელ. ეს ჩვენი მოვალეობაა. ამიტომ ქალიშვილს თუ საკუთარი ნებით არ გამოუშვებ, იძულებული იქნები შეეგუო იმ შედეგს, რაც ამას მოჰყება.“ ნუბეიპს მეტი გზა აღარ ჰქონდა, ქალიშვილი მამას დაუბრუნა.

გზა ქორწინებისაკენ

პატიჯე ვაჭრობით იყო დაკავებული. იგი მექაში ერთ-ერთი უმდიდრესთაგანი იყო. თანდათან ხვდებოდა, რომ

ამდენ საქმეს მარტო ვედარ გაწვდებოდა, ამიტომ ისეთ პიროვნებას ეძებდა, რომელსაც ბოლომდე ენდობოდა. ისეთ პერიოდში, როცა ადამიანებს ერთმანეთისადმი იოტისოდენა ნდობაც კი აღარ გააჩნდათ, ქალისათვის ვაჭრობა საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა.

მუქამმედი მოუყიდა აზრად. ნაცნობებისაგან გაეგო, რომ იგი მეტად სანდო და პატიოსანი პიროვნება იყო. ამიტომ უფრო რიგიანი იქნებოდა, ვაჭრობის საქმე მისთვის მიენდო. მას შეაკაცი გაუგზავნა, რათა გაეგო, თუ რა აზრის იქნებოდა იგი ამასთან დაკავშირებით.

მუპამმედი, ხანგრძლივი ფიქრის შემდგომ, დათანხმდა
ამ წინადაღებას და ჰატიჯეს მოელი სავაჭრო საქმი-
ანობის პასუხისმგებლობა საჭიროა თავზე აიღო.

* * *

დამასკოში გასაგზავნი ქარაგნის სამზადისი
თითქმის დასრულებული იყო. პატიჯემ მუკამმედზე
დასახმარებლად და კიდევ უფრო კარგად გასაცნობად
ქარავანს მისი დამხმარე მეისერეა გააყოლეა.

მუკამმედმა დამასკოში ხანგრძლივი მოგზაურობის
შემდეგ ჩაღწია, საქონელი ძალიან კარგ ფასში გაყიდა
და დიდი მოგება ნახა, ახალი საქონელი შეიძინა და
მექაში დაბრუნდა. მეისერემ მოგზაურობის დროს
მუკამმედი უფრო ახლოს გაიცნო. მისმა სპეტაქმა
ზნეობამ უაღრესად კარგი შთაბეჭდილება დატოვა.
მექაში დაბრუნებულმა ყველაფერი დაწვრილებით მოუყ-
ვა ჰატიიჯეს.

სამაგალითო მეუღლე და სამაგალითო მამა

ჰატიჯეს მუპამედის პატიოსნებაში ეჭვი აღარ ეპარებოდა. პირველი სავაჭრო ქარაგანი, რომლის პასუხისმგებლობაც მას ეკუთვნოდა, საღ-საღამათი დაბარუნა დამასკოდას და დიდი მოგებაც ნახა. პატიოსნებას ვერ-ავინ დაუწენებდა. მის ზნეობას და სისპეტაკეს ყველა ხოტბას ასხადდა.

ჰატიჯე ადრე ორჯერ იყო გათხოვილი. როგორც
ქვრივს, ბევრმა თხოვა ხელი, მაგრამ კველა უარით გაის-
ტუმრა. დროს საკუთარ სახლზე და საქმიანობაზე ზრუნ-
ვაში ატარებდა. ეს მდგომარეობა მანამ გაგრძელდა,
სანამ მუპამელს გაიცნობდა.

მუკამმედის პიროვნებითა და ზეობით აღტაცებულ-
მა ჰატიჯემ იფიქრა, რომ მუკამმედზე დაქორწინება შეი-
ძლებოდა, რაც შემდგომში გადაწყვიტა კიდეც
მუკამმედს დაქორწინება შესთავაზა. 25 წლის მუკამმედ-
მა საკმაო ფიქრის შემდეგ ჰატიჯეს ქორწინებაზე თანხ-
მობა მისცა.

მათ უბრალო ქორწილი გადაიხადეს. ქორწინების შემდეგ მუკამმედი ებუ თალიბის სახლიდან პატიჯესთან გადავიდა საცხოვრებლად. იგი ვაჭრობით იყო დაკავებული და ფინანსურაზე აღარ უჩირდა.

ამ ხანებში ებუ თალიძეს ეკონომიკურად გაუჭირდა. მუჟამმედმა ბიძის მხარში ამოსადგომად და დასახმარებლად ებუ თალიძის ვაი-ალი მასთან აადაიყვანა.

მუპამმედსა და პატიჯეს ერთმანეთი ძალიან უყვარ-
დათ. ბედნიერი ოჯახი შექმნეს და კველას ზნეობის მაგ-
ალითს აძლევდნენ. პირველი შვილის გაჩენამ მათი ბედ-
ნიერება კიდევ უფრო გააძლიერა. ბაშვს ყასიმი დაარ-
ქვეს. მაგრამ, სამწერებაროდ, მათი ეს ერთად-ერთი ვაჟი;

—ჯავიდლიეს ანუ
უმცირების ხანაში,
მაშინ, როცა
გოგონებს
არავითარ პატივს
არ სცემდნენ,
მუქამმედ
შუამავალი, როცა
მისი ქალიშვილი—
ფატიმა ეწვეოდა,
ფეხს
წამოდგებოდა,
ლოყებზე
აკოცებდა და
თავის ადგილას
დასძამდა.

ପ୍ରକାଶକ

ებუ ლეჟები და
მისი მეუღლევ,
ისლამის მტრებს
ხელმძღვანელობდნ
ენ. სურა თებეთი
სწორედ მათ მიერ
მუსლიმანების
მიმართ
ბოროტების გამო
გარდმოევლნა. იმ
ხანებში მუპპამედ
შუამავლის ორი
ქალიშვილი- უმმუ
გულსუმი და
რუკიე, ებუ
ლეჟების ორ ვაჟზე
იყვნენ
დანიშნულნი.

**როცა სურა
თებბეთი
გარდმოველინა, ებუ
ლექებმა და მისმა
მუჭამმედ
შუამაგლის
ქალიშვილებთან
მათი შეიღების
შეუღლების საქმე
იძუღლებით ჩაშალეს.
ამ ამბავშა მუჭამმედ
შუამაგალი და
პატიჯე ძალიან ცუდ
სიტუაციაში ჩააგდო,
მაგრამ შეიღებს
მხარდაჭერა არ
დაკლეს და
მთლიან სიძნეღებს
მეღგრად
გაუმჯობენებ.**

რომელსაც დიდი სიყვარულით ზრდიდნენ, ჯერ კიდევ დედის ძუძუს მიტოვებმადე დაიღუპა. ყასიმის შემდგომ მათ თანმიმდევრობით შეეძინათ: ზეინაბი, უმმუ გულსუ- მი, რუყიე, ფატიმა და აბდულლაპი.

* * *

შემდგომ წლებში მუჭამმედს მარიესგან, რომელზეც პატიჯეს სიკვდილის შემდეგ მედინაში ყოფნისას დაქორწინდა, იბრაჟიმი შეეძინა. იბრაჟიმი დაბადების- თანავე, ტრადიციის მიხედვით, ძიძას მიაბარა. მიუხე- დავად იმისა, რომ ძიძა შორს ცხოვრობდა, მუჭამმედი შვილის სანახავად ხშირ-ხშირად დადიოდა. ყველა მის- ვლაზე შვილს პკოცნიდა და ეფერებოდა.

წელიწადნახევრის იბრაჟიმი ავად გახდა. როცა ეს მუჭამმედ შუამაგალს გააგებინება, იგი რამდენიმე მეგობ- რის თანხლებით სასწრაფოდ იმ სოფლისაკენ გაემარ- თა, რომელშიც იბრაჟიმი იზრდებოდა.

შვილი ცუდ მდგომარეობაში დახვდა. შუამაგალმა იგი ფრთხილად აიყვანა ხელში ისე, რომ მისთვის არაფერი ეტკინა. იბრაჟიმი უკანასკნელ წუთებში იყო. შუამაგალმა შვილის სიკვდილის ყურებას ვეღარ გაუძ- ლო და უხმოდ აქვითინდა. თვალებიდან ცრემლს ლვრი- და და თან შვილს პკოცნიდა. მდგომარეობამ მის მეგო- ბრებზეც ცუდად იმოქმედა, მაგრამ ისინი კიდევ უფრო შუამაგლის ცრემლებმა გააკვირვა. „შენც სტირიხარ?“— პკითხეს. „თვალი იტირებს, გული შეიკუმშება. ჩემი ქვი- თინის მიზეზი შვილის სიყვარულია. არ იქნება შებრალებული ის, ვინც არ შეიბრალებს.“— უპასუხა შუა- მაგალმა.

შვილის დაღუპვა მშობლისათვის უდიდესი ტანჯვაა. მუჭამმედ შუამაგალი იყო შვილების ძლიერ მოსიყ-

ვარულე მამა, რომელმაც იწვნია შვილების გარდაც- ვალებით გამოწვეული ტანჯვა. უდედ-მამოდ გაზრდილ- მა, ფატიმას გარდა, ყველა შვილი საკუთარი ხელით მიაბარა მიწას.

მამამ წლების მანძილზე შვილი— ზეიდი ეძება, იცოდა, რომ იგი მონად იქცა, მაგრამ კვალს ვერ მიაგნო.

როცა გაიგო, ზეიდი მუჭამმედთან იყო, ძლიერი მდელ- ვარება დაეუფლა. მის გამოსახსნელად ეახელა მუჭამმედს და ქვითინით მდგომარეობა აუხსნა. ამავე დროს ემინოდა, შესაძლო იყო მუჭამმედს ზეიდის გაყიდ- ვა არ ესურვა... ოდონდ მიეყიდა და რა ფასიც უნდა ეთქვა, გადახდისათვის მზად იყო. მუჭამმედი უსიტყვოდ ზეიდს მიუბრუნდა:

— გინდ ჩემთან დარჩი, გინდ მამაშენს გაყევი. ამ სიტყვებმა ზეიდის მამა კიდევ უფრო ააღელვა. უქმებელი იყო, შვილი მამას აირჩევდა. ზეიდმა რიგ-რიგობით ჯერ მუჭამმედს შეხედა, მერე მამას.

— არ მინდა შენთან წამოსვლა!— განუცხადა მამას, — იმიტომ, რომ ამ ოჯახმა ოქვენი თავი საერთოდ არ მომანატრა. სიყვარული და სიმშვიდე აქ ვპოვე. არ მინდა, ამ ოჯახს გავეყარო.

მამა შვილის შეუვალობამ გააკვირვა. როგორ შეი- ძლებოდა, მისი შვილი ბატონზე ასეთი დამოკიდებული ყოფილიყო? ეს ხომ წარმოუდგენელი იყო! როგორი ბატონი იყო, რომ მონას ასე უყვარდა. მამა, სოფელში ხელცარიელი, მაგრამ გულდამშვიდებული დაბრუნდა.

ზეიდის ასეთმა საქციელმა მუჭამმედს გული აუჩუქა და იგი შემდგომში შვილად მიიღო.

**მუჭამმედ შუამაგლის
თანამიმდევრთაგან
(საპაპეთაგან) რაფი
ისესენებს ერთ
აბბავს, რომელიც
მას ბაგშეობაში
შეემთხვა:**

**ბაგშეობაში
ცელქობით ფინიების
ხურმის ხეებს ქვებს
ექსროდი. ერთხელაც
ბაღის პატრონა
დამიჭირა და
დასასჯელად
მუჭამმედ შუამაგალს
მიმგვარა.**

**— რატომ ესროდი
შეიღო, ქვებს
ხურმის ხეებს?—
მკითხა შუამაგალმა.**

**— მშიოდა და
ამიტომ ექსროლე—
გუბასუხე მე.**

**— მეორედ ნუდარ
ესერი. ძირს
ჩამოვარდნილები
მიირთვი და ალლაპი
შენ გაგაძლობს—
გამაფრთხილა მან,
ომებზე მომეალერსა
და დმერთს
შევეღრა— დმერთ,
გააძლე იგი!**

მუკამმედ შუამავლის
შვილიშვილები
იდბლიანები იყვნენ
იმით, რომ ასეთი
ბაბუა ჰყავდათ.
ბაბუა მათ
ეთამაშებოდა,
ეხუმრებოდა და ისე
გულთბილად
ექცეოდა, როგორც
მამა.

შუამავლის მალიან
უყვარდა
შვილიშვილი უმამე-
ნამაზის ლოცვის
დროს უმამე მას
ზურგზე
მოახტებოდა ხოლმე,
მაგრამ იგი
შვილიშვილის ამ
საქციელზე არ
ჯავრდებოდა და
ლოცვას
აგრძელებდა.

მუკამმედ შუამავლი
შვილიშვილებს
იმდენად
გულთბილად
ეყრობოდა, რომ
მათ მასთან ყოფნა
და თამაზი ძლიერ
სიამოვნებდათ.
მაგალითად, იგი
შვილიშვილებს—
პასანსა და პუსენს
ზურგზე შეისვამდა,
„ბაგშეებო, აქლემიც
გარგო გუავო და
თქვენაც კარგი
სართო“ ეყროდა და

მას ყველა ენდობოდა

მუკამმედი 35 წლის შესრულდა. ერთ დღეს სახლიდან გამოვიდა და დაფიქრებული წავიდა ქაბქესკენ. მექაში ქურდობა, თაღლითობა, ძმათა შორისი ქიშპი ძალიან გახშირდა, ადამიანებს გაუქრათ ის ურთიერთნდობაც, რომელსაც აქამდე მოედწია მათში. მას ეს ძალიან სწყინდა და უნდოდა, რაიმე ედონა ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამ ფიქრებით ქაბქეს მიუახლოვდა, სადაც დიდი ხანია ადგენენითი სამუშაოები მიმდინარეობდა და მისი უკანასკნელი მდგომარეობა უნდოდა ენახა. „აი, მუკამმედი, სამართლიანი და პატიოსანი კაცი!“ – ერთხმად შესძახეს იქ მყოფებმა. მუკამმედს გაუკვირდა. თავდაპირველად ვერ გაიგო, თუ რა ხდებოდა. ერთ-ერთმა იქ მყოფთაგანმა აუხსნა:

– როგორც იცი, დიდი ხანია ქაბქეს ვაშენებთ. ჩვენი წინაპრების მიერ „პაჯერულ ესვედად“ ანუ შავ ქვად წოდებული ეს ლოდი გამოვიდეთ და ახლა გვინდა იგი ისევ თავის ადგილას ჩაესვათ. მაგრამ ყველა ტომი ჯიუ-ტად გაიძახის: „ყველაზე ღირსეულები ჩვენ ვართ და ეს ქვა თავის ადგილას გინდა თუ არა ჩვენ უნდა ჩაესვათ.“ ჩეუბის დაწყებას ბევრი აღარაფერი აკლდა, როცა ერთ-ერთმა ჩვენგანმა თქვა: „ბენი შეიძეს (ანუ შეიძესშვილთა) კარიდან ვინც პირველი შემოვა, ამ საქითხში მსაჯულობა მან გასწიოს.“ ამ წინადადებას ყველა დავთანხმეთ. მცირე ლოდინის შემდეგ, როცა იმ კარში პირველი შენ გამოჩნდი, ძალიან გაგვიხარდა. მექაში ამ, საქმისათვის ყველაზე ღირსეული პირველება შენ ხარ, რამეთუ ისეთ გარემოში, სადაც ძმებიც კი ერთმანეთს ვერ ვნდობივართ, ჩვენი ქონება შეგვიძლია მხოლოდ და მხოლოდ შენ ჩაგაბაროთ.

რადაგანაც მუკამმედმა კარგად იცოდა „პაჯერულ ესვედის“ ფასი, გადაწყვიტა, შემდეგნაირად მოქცეულიყო: ქვა ფარდაგზე დადო, ყველა ტომის წინაკაცი მოიხმო და უთხრა, ხელი მოეკიდებინათ

ფარდაგის კიდეებზე. როცა ფარდაგს ყველამ ხელი მოკიდა და წამოსწია, მანაც ქვა აიღო და თავის ადგილას ჩასვა.

მუკამმედის ასეთი გადაწყვეტილებით ყველა ტომი კმაყოფილი დარჩა და ყველამ ხოტბა შეასხა მის გონიერებას.



მუკამმედ შუამავლის
შეგატყობინებს, რომ
მისი ერთ-ერთი
შვილიშვილი ძალზე
ციდად იყო.
შუამავლი მაშინევ
ზეინაბთან მიეიღა.
შეილიშვილი
ძალთაში ჩასვა.
ბაგშვი უკანასკნელ
წუთებში იყო. ცოტა
ხანში, როცა ბაგშვი
გარდაიცვალა,

შუამავლის
ცრემლები
გადმოსცვივდა.
როცა ამის მიზანი
პეითხეს, მან ასე
უპასუხა: „ეს
ცრემლები აღლოასის
მიერ ადამიანთა
გულებში ჩანერგილი
სიბრალულის
გამოხატულებაა.
აღლოას მოწყალე
ადამიანები უყვარს.“

მუკამმედ შუამავლის
ერთ დღეს,
შეილიშვილი—
პასანი ძალთაში
ჩაესდა და პერცნიდა.
გეერდით კი თემისს
ტომის ერთ-ერთი
გაგლენიანი პირი
გვდა. მას ბაბუასა
და შეილიშვილს
შერის ასეთი
სიახლოეს ეუცხოვა.

– მე ათი შეილი
მყაფს, მაგრამ
არცერთისთვის არ
მიღოცნია. — უთხრა
მუკამმედ შუამავლის.
ვინც ადამიანებს

ლმობიერად არ
მქცევა, მას არც
აღლოას მოეპრობა
ლმობიერად.—
უპასუხა
შუამავლმა.

— მე ათი შეილი
მყაფს, მაგრამ
არცერთისთვის არ
მიღოცნია. — უთხრა
მუკამმედ შუამავლის.
ვინც ადამიანებს

ლმობიერად არ
მქცევა, მას არც
აღლოას მოეპრობა
ლმობიერად.—
უპასუხა
შუამავლმა.



၅၁၀၆၀ မားသမဂၢ

မုဒ္ဒနမာရေး မှားမာဒ္ဒနၢ

၀၈၃၂၁

პირველი შეხვედრა ჯებრაილ
ანგელოზთან.

მუკამმედ შუამაგალი მექაში სულიერი შეჭირვების ქამს, ფიქრისა და ლოცვისთვის ნურის მთაზე მდებარე ჰირას გამოქაბულში ადიოდა. ეს იყო მისი თავშესაფარი. ნურის მთა იმდენად მაღალი იყო, რომ მისი მწვერვალიდან, ქაბექს ჩათვლით, მთელი მექა ხელის გულივით ჩანდა. მუკამმედი მთის სიმყუდროვეს თავს აფარებდა და და ხანდახან რამდენიმე დღითაც იქ რჩებოდა.

ჰირაში, ერთ-ერთ ასეთ განტვირთვის დღეს, მოელი დამე დავთისმსახურებაში გაატარა და მოქანცული იყო. თენდებოდა. დამის წყვდიადი ქრებოდა. უცებ მის წინ ისეთი არსება გაჩნდა, ორმელიც მანამდე არსოდეს ენახა. სანამ გონის მოეგებოდა, უცხო არსებამ უბრძანა: „წაიკითხე!“ მუჰამმედ შუამავალს ძალიან შეეშინდა. მღელ-ვარებისგან აკანკალდა. „მე კითხვა არ ვიცი!“ უპასუხა შემფორთებული ხმით. უცხო არსებამ ხელი შემოხვია, მოუჭირა და ცოტა ხნის შემდეგ გაუშვა. მუჰამმედ შუამავალს ერთ ხანს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს იხრჩობოდა. „წაიკითხე!“— ხელმეორედ უბრძანა მას უცხო არსებამ. „მე კითხვა არ ვიცი!“— კვლავ უპასუხა

სალამ—მშვიდობა
მუპამმეღ
შუამაგალს

ალლაპი უკედა
 მუსლიმანს
 უბრძანებს,— ხოტბა
 შეასხან მუჭამედ
 შუამაგდლს.
 ამიტომაც, როცა
 მუჭამედ შუამაგლის
 სახელს გაყიგონებთ,
 „სალლალლაჰუ“
 აღეაში ეკ სელლებზ—
 ს გამბობთ.
 (შემოკლებით:
 (ს.ა.ს.)) ეს სიტვები
 მუჭამედ შუამაგლის
 მიმართ
 პატივისცემასა და
 სიყვარულს
 გამოხატავს და
 ნიშნავს: „ალლაპი
 ლოცავდეს და
 ჟფარავდეს მას!“

**უჟველად, ალლაპი
და მისი მელაიქები
ლოცვაგენ
შუამაგალ(მუჭამედის
, მორწმუნენო
თქვენც დალოცეთ
ივი და სრული
მორჩილებით სალამი
მიუძღვენით მას.
(სურა აჭაბი აიათი
56)**

ღღღღღღღღღღ

**პირველი შთაგონება
მას 610 წელს,
ყალიბის დამეს,
გარდმოველიან.**

ღღღღღღღღღღ

**პირველი
გარდმოველენილი
აიათები, სურა
ალაყის პირველი 5
აიათი.**

ღღღღღღღღღღ

**სიტყვა „ალაყ“,
ადამიანის გაჩენის
სტადიაში მყოფ
განაუფიერებულ
ძველცუჯრედს
(კმბრიონს) ნიშნავს.**

ღღღღღღღღღღ

მან. მესამედაც რომ იგივე გაუმეორა, წმინდა მუჭამედ-
მა უთხრა: „მე კითხვა არ ვიცი, რა წავიდითხო?“ ამის
პასუხად უცხომ მას პირველი აიათები აუწყა, რაც
შემდეგ მუჭამედ შუამაგალმა უნებლივდ გაიმეორა:

„წაიკითხე!“

შენი გამჩენი ღმერთის სახელით!

მან ადამიანი შედედებული სისხლისგან გააჩინა.

წაიკითხე, რამეთუ შენი ღმერთი უსაზღვროდ
გულუხვია,

რომელმაც (ადამიანს) ასწავლა კალმით (წერა).

ასწავლა დადამიანს ის, რაც (ადამიანმა) არ იცოდა.“

შეეშინდა. ვერ მიმსვდარიყო, რა ხდებოდა. გამოქვაბ-
ულიდან გარეთ გამოვარდა. სახლში ცოლთან – პატი-
ჯესთან ეჩქარებოდა. სირბილით დაეშვა მთის ფე-
რობზე. უცებ ხმა მოეხმა: „შენ ალლაპის შუამაგალი
ხარ, მე კი– ჯებრაილი.“ სწორედ ის ხმა იყო, გამოქვ-
აბულში რომ გაიგონა, ოღონდ ამჯერად უფრო მკვეთრი.

ირგვლივ მიმოიხედა, ეცადა გაერკვია, თუ რომელი მხრი-
დან მოდიოდა ხმა. უცებ იმოდენა არსება დაინახა,
რომელსაც თავისუფლად შეეძლო პორიზონტი დაუ-
ფარა. არსებამ ერთხელ კიდევ გაიმეორა: „შენ ღმერთის
შუამაგალი ხარ, მე კი– ჯებრაილი.“ მუჭამედ შუამაგალ-
მა ნაბიჯის გადადაგმა ვეღარ მოახერხა, ერთ ადგილას
გაშეშდა. იგრძო, სუნთქვა უჭირდა, მშვიდად სცადა ისევ
იმ მხარეს გახედვა, რომელ მხარესაც ის არსება ეგულე-
ბოდა. ის არსება ისევ იქ იდგა და იგივე სიტყვებს იმე-
ორებდა. უნდოდა მისთვის თვალი მოეშორებინა და სხვა
მხარეს გაეხედა, მაგრამ რომელ მხარესაც მიატრიალებ-
და თავს, ყველგან იმ არსებას ხედავდა.

უცხო არსება უცებ გაქრა. შეშინებულმა მუჭამედმა
კი ნურის მთიდან მშფოოთვარე ნაბიჯებით მექასენ
მოუსვა. გზა სწრაფად გალია და სახლში მშვიდობით
შევიდა.

მესაიდუმლე ჰატიჯე

ნურის მთიდან დაბრუნებული მუჭამედ შუამაგალი
ტახტზე მოსახვენებლად წამოგორდა და აკანკალებული
ხმით ჰატიჯეს თხოვა, მისთვის რაიმე დაეხურა. ჰატიჯე
ქმარს საფარი კი დაახურა, მაგრამ ვერაფერი გაიგო, რა
მოხდა. მუჭამედს ღრმად ჩაეძინა.

როცა გაიღვიძა, ჰატიჯეს დაწვრილებით მოუყვა ყვე-
ლაფერი, რაც თავს გადახდა. „არ მესმის, რას უნდა ნიშ-
ნავდეს ეს ყველაფერი. შევშფოოთი და შემეშინდა.“ –
დასძინა ბოლოს.

– ნუ გეშინა! ვფიცავ ალლაპს, ის არასოდეს შეგარ-
ცხვენს, რადგანაც შენ, ნათესაურ ურთიერთობას
უურადღებით ეკიდები, სიმართლეს ლაპარაკობ, უმწეო-
თა და უქონელო მხარში უდგახარ, დარიბს აპურებ, სტუ-
მარს მასპინძლობ, განსაცდელში ჩავარდნილს შველი, –
ქმრის დამშვიდებას შეეცადა ჰატიჯე.

თვითონაც დაინტერესდა, თუ რას ნიშნავდა ეს ყვე-
ლაფერი. ქმარს კარგად იცნობდა და უყვარდა იგი. მას
შემდეგ, რაც იცნობს და ერთად ცხოვრობენ, მისგან ერთი
ტყუილიც კი არ გაუგონია. აშკარა იყო, მეუღლეს რაღაც
ძალზე უჩვეულო რამ შეემოხვა. მისი სჯეროდა.

ჰატიჯეს ნათესავი ვერაყა, გამოცდილი და გან-
სწავლული პიროვნება იყო. ცოლმა მუჭამედი მასთან
მიიყვანა. მხოლოდ მას შეეძლო იმის ასხნა, რაც შუა-
მაგალს შეემოხვა.

ვარაყამ ყურადღებით მოუსმინა მათ და ხანგრძლივი
ფიქრის შემდეგ უთხრა:

– ის, რაც შენ ნახე, მელაქეა (ანგელოზია), რომელ-
საც ჯებრაილი ჰქვია. ალლაპი მუსა (მოსე) შუამაგალ-
საც სწორედ ის გამოუგზავნა. ნეტავ, ახალგაზრდა ვიყო
და შენს გვერდით შემეძლოს დგომა იმ დღეებში, როცა

ურანი

**ურანი უკანასენედი
დვოური წიგნია,
რომელიც ალლაპი
მუჭამედ შუამაგალს
23 წლის**

**განმავლობაში
შთაგონების გზით,
აიათებისა და
სურების სახით
გარდმოუვლინა.**

**ურანი 114
სურასაგან შედგება,
რაც მთლიანობაში
6236 აიათს შეიცავს.**

**ურანი ალლაპის
სიტყვაა, მისი კითხება
კი– დვთისმსახურება.
შეცავს იმ
პრიციპებს,
პრანებებს,
აქრადებებსა და
რჩევებს, რომლებიც
ადამიანს
ამქეუნიურსა და
იმქეუნიურ
ბენიერებას
აზიარებს.**

**„უჟველად, ურანი
(ადამიანებს) ყველაზე
ჭეშმარიტ გზას
აჩვენებს.“**

(სურა ისრა, აიათი 9)

ეს ხალხი შენ შენივე სამშობლოდან გაგაძევებს

ჰატიჯემ და მუჟამელ შუამავალმა ერთმანეთს
გადახედეს. შუამავალს სახეზე მისთვის უჩვეულო
მღელვარე გამომეტყველება აღებეჭდა:

— ესე იგი, სამშობლოდან უნდა გამაძევონ, არა?—
იყითხა მწერალი ხმით.

- დიაბ! გაგაძევებენ, რამეთუ რასაც შენ იქადაგებ,
იმის მქადაგებელი ყველა შუამავალი გაძევებული იქნა
სამშობლოდან. თუ მანამდე ვიცოხლე, აუცილებლად
დაგეხმარები. - უპასუხა ვარაყამ.

ამ საუბრის შემდეგ მუჰამმედ შუამავალი ცოტათ
დამშეიძლდა. პატივების მისი სწამდა და ენდობოდა კიდევ.
ვარაყა ძალიან მნიშვნელოვან რამებს ამბობდა.
მუჰამმედ შუამავალი შეეცადა მის სიტყვებში
გარეკვეულიყო... აშკარად ჩანდა, რომ მას ახალი მისია
ელორა. იგი უკვე აღლაპის მიერ შუამავალობის უფლე-
ბამოსილებით აღჭურვილი პირი იყო. 40 წლისას ადამი-
ანები ჰეშმარიტ გზაზე უნდა მიეპატიუებინა და
პოროგებას შერკინებოდა.

* * *

„აბსოლუტურად არავინაც რომ არ ირწმუნოს,მე ვირწმუნებ.“— თქვა პატიჯემ, როცა მუკამმედ შეუამავალმა უკრანის პირველი აიათები წაიკითხა. ამ სიტყვებმა მუკამმედ შეუამავალს ცოტათი მაინც შეუმსუბუქა ტვირთო. შეუმსუბუქა, რაღაცნაც მას ადამიანის შესაძლებლობისათვის ყველაზე უკიდურესი პასუხისმგებლობა დაეკისრა. იგი სულ იმის ფიქრში იყო,ვინ დაუჯერებდა მას!

ერთის მხრივ ასეთი წმინდა, მძიმე და საპატიო პასუხისმგებლობა ეკისრა, მეორეს მხრივ კი გვერდში ედგა სანდო, ერთგული და გამგებიანი მეუღლე, პატიჯანსორედ ასე სძლევდა მუჟამედ შუამავალი შუამავლობის პირველ მძიმე დღეებს.

პირველები, ვინც ახალი სარწმუნოება ირწმუნეს,

მუკამმედ შუამავლის მეუღლე— პატიჯე და
ბიძაშვილი—ალი იყვნენ. მუკამმედ შუამავალი თვის
ოჯახთან ერთად ჩუმ—ჩუმად ალლაპისადმი დვოისმსახ-
ურებას შეუდგა. ამასთან ერთად ხელსაყრელ მოქნეცს
ხელიდან არ უშვებდა და მექელებსაც ეპატიუებოდა
ისლამზე. ჭეშმარიტი სარწმუნოების ქადაგებისას სერი-
ოზულ პრობლემებსა და წინააღმდეგობას აწყდებოდა
და მრავალი შეურაცხეოფის ატანა უხდებოდა, მაგრამ
მიუხედავად ამისა, მის მიმდევართა რიცხვი დღითიდღა
იზრდებოდა.

ისლამი გრცელდება

ალდამბა მუკამმედ შუამაგალს სარწმუნოებაზე
ახლობლების მიპატიუება დაგვალა. მუკამმედ შუა-
მაგალმა ამ მიზნით წვეულება გამართა, სადაც შველა
თავისი ნათესავი მიიწვია და ჭამის შემდეგ ისინი
ისლამზე დაპატიუა.

ბიძამისი— ებუ ლევები ამ პატიქს დიდი წინააღმდეგ გობით შეხვდა:

— სხვა არავინ მინახავს ისეთი, ვინც თავის ნათებავს
ასეთ ცუდ რამეზე ეპატიულებოდეს, — განაცხადა მან. ამ
სიტყვებზე წვეულება დაიშალა. მაგრამ მუჭამმედის
გადაწყვეტილება მტკიცე იყო და მეორე დღესაც მიიწვია
ისინი სადილზე. ამ შეკრებაზე აღლაპის არსებობასა და
ერთობაზე ისაუბრა, მათ აცნობა, რომ იგი აღლაპის
უკანასკნელი შუამავალია და უნდა, რომ აღლაპის მიერ
მასზე დაკისრებული ეს წმინდა მისია პირნათლად და
სრულყოფილად შეასრულოს.

მუჭამედ შეამაგალს სურდა, ახლობლების შემდეგ
მთელი მექა დაეპატიჟებინა ისლამზე. ამ მიზნით მექას
მოვდანზე გავიდა, შემაღლებული ადგილი მოარჩია და
გასძახა: „ყურეიშელებო!“ ვისაც ხმა მისწვდა, ყველა მის
ირგვლივ შეგროვდა.

- ახლა მე რომ თქვენ გითხრათ: აი, ამ მთის უკან
მტერი დგას და თავს უნდა დაგესხათ- მეტქი, დამი-

„ସୁଦିର୍ଘଗ୍ରେସାର୍, ଶେବ୍ନୋ
ନାଟେସାଗ୍ରେବୋ
ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତବୋଲ୍ଦ୍‌ଜ୍.
ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତବୋଲ୍ଦ୍‌ଜ୍ ଶେବ୍ନୋ
ମ୍ଭାର୍ଗ୍ରେସାର୍ବୋଲ୍ଦ୍‌ଜ୍
ମହାବାସ, ଗୋବିନ୍ଦ
ରାଧାକୃଷ୍ଣରା ଶେବ୍ନୋ
ମ୍ଭୁବାନ୍ଦୀମହାନାଥାବାନ୍.
ବେଳାର ଟ୍ରେ
ଗ୍ରେନ୍ଡର୍କ୍ରେବୋଲ୍ଦ୍‌ଜ୍
ମାଶିନ୍ ପ୍ରତିକାରି:
ଶେବ୍ନୋଗ୍ରେସାର୍ବୋଲ୍ଦ୍‌ଜ୍,
ମେ ଶେବ୍ନୋ
ଗାର ମହିବାବା, ରାସାରା
ଟ୍ରେଵେନ୍ ବ୍ରାହ୍ମିକାରତ."
(ସୁରା ଶ୍ରୀରା, ଆଇତି
214, 215, 216)

ჯერებთ?— შეეცითხა იგი იქ მოგროვილთ.

— რა თქმა უნდა, ჩვენ შენგან ჯერ ტყუილი არ გაგვიგონია.— უპასუხეს ერთხმად. შუამავალმა მათი დაინტერესებით ისარგებლა და მიმართა:

— ვფიცავ ალლაპს, რომ ერთ დღეს უნდა მოკვდეთ, ერთ დღესაც უნდა გაცოცხლდეთ და ყოველი თქვენი საქციელისათვის უნდა განიკითხოთ. კარგებისათვის სამოთხეა, ცუდებისათვის კი— ჯოჯოხეთი. მე დამეგისრა მისია, გაგაფრთხილოთ იმ განსაცდელის შესახებ, რომელიც განკითხვის დღეს გელით. ის, ვინც ირწმუნებს ალლაპის ერთობასა და ჩემს შუამავლობას, ამ განსაცდელს გადაურჩება, ხოლო ვინც არ ირწმუნებს, დიდ გასაჭირში ჩავარდება. მზად ხართ, მხარში ამომიდგეთ ამ საქმეში?

მოედანზე შეკრებილნი ასეთმა პატიუმა გააკვირვა. ებუ ლეპებმა აქაც უმუხოლა: ქვა აიღო, მუპამმედ შუამავალს ესროლა და თან დაუყვირა:

— აქამ სისულელების მოსასმენად შეგვარე?

მართალია, ამ შეკრებით მუპამმედ შუამავალმა ვერაფერ წარმატებას ვერ მიაღწია, მაგრამ ის მოახერხა, რომ მექას ყველა მკვიდრს ხმა მიაწვდნა ისლამზე წმინდა პატიუმის შესახებ.

პირველი მუსლიმანები და ერქამის სახლი

ომარი პატტაბის ქე გულადი და მამაცი კაცი იყო. არავინ ისურვებდა მის წინააღმდეგ გამოსვლას. ვინც მას დაინახავდა, მხარს იცვლიდა და სხვა მიმართულებით წავიდოდა. მუპამმედის მიერ საკუთრი თავის ღმერთის შუამავლად გამოცხადების ამბავი მის ყურამდეც მივიდა, საშინელად განრისხდა და მისი განადგურება განიზრახა. გზად ნუაიმს გადაეყარა. ნუაიმი გამუსლიმანებული იყო. მაგრამ მალავდა.

— აგრე საით გაგიწევია, ომარ?— პკითხა ომარს, რა ნახა იგი ასეთი განრისხებული.

— მუპამმედი უნდა მოვკლა.— უპასუხა ომარმა.

როული საქმე გადაგიწყვეტია. ღმერთმანი.— უთხრა გააკირვებულმა ნუაიმმა და მუპამმედ შუამავლის დაცვისა და ომარის დაბრკოლების მიზნით დაამატა: მაგას თავი დაანებე და შენს დასა და სიძეს მიხედვა, ისინიც გამუსლიმანდნენ.

ამის გამგონი ომარი კიდევ უფრო გაცეცხლდა, განრისხებული ახლა დის სახლისაკენ გაქანდა.

სახლთან მისულს შიგნიდან ყურანის კითხვის ხმა მოესმა. ცოტა ხანს უსმინა და როცა დარწმუნდა, რომ დაცა და სიძეც გამუსლიმანებულიყვნენ, მოულოდნელად შევარდა სახლში, სანამ ისინი გონს მოეგებოდნენ, ორივე სხვადასხვა კუთხეში მოისროლა, განრისხებულმა ის იყო მათ დასახოცად ხმალზე იტაცა ხელი, რომ სისხლით მოსვრილმა და აცრემლებულმა დამ შეჰკივლა:

— ალლაპისა გეშინოდეს, ომარ! შენც გაიგონე— ჩვენ ისლამი მივიდეთ. რაც უნდა გააკეთო, ჩვენი რწმენიდან ვერ მოგვაძრუნებ, ჩვენს რჯულს არ ვუდალატებო!

**ეთობარელი
ბილადი (ბილადი
ჟაბეში)**

ერთ-ერთმა მონამ, სახელად ბილადი ისლამი მიიღო. მისმა ბატონმა, თაგისგან

უნებართოდ ისლამის მიღების გამო, საშინელი წამებით დასაჯა იგი და იმისათვის, რომ ამ რწმენაზე უარი ეთმევინებინა, უდაბნოს პაპაქება სიცხეში ქვიშაზე დააწვინა, მკერდზე მძიმე ქექი დააწყო და ემუქრებოდა: „თუ მაგ სარწმუნოებას არ უარყოფ, ასე ამოგხდი სულსო.“ მოუხედავად უველიერ ამ ტანჯება-წამებისა, წმინდა ბილადი მაინც გაიძახოდა: „ალლაპი
ერთადერთია და უველიერ უდიდესია.“

ღღღღღღღღღღ

დის ასეთმა საქციელმა განაცვიოფრა, როგორ ბედავდა იგი ომარზე შეწინააღმდეგებას?! ერთი წამით შეჩერდა, თუმცა მომხდარში ბოლომდე მაინც ვერ გაერკვა იგრძნო, რომ ხმლიანი ხელი უგანკალებდა. დაჯდა და ჩაფიქრდა, შემდეგ დას ჰქითხა, თუ რას კითხულობდნენ ისინი. დამ რომ დაინახა, ძმას მრისხანება გაუნედლდა, აიათები აჩვენა.

ალლაპის შუამაგადი
დავინანე. ის ამ
სიტყვებს იმეორებდა:
„თუ, დაა ილლაპე
ილლლლაპ-ს
იტყვით,
გადარჩიბით.“ ამის
ობის მას

ადამიანებთაგან
ზოგი აფურთხებდა,
ზოგი თაგზე მიწას
აყრიდა, ზოგიც ცუდ
სიტყვებს ეუბნებოდა.
ეს მდგომარეობა
სამხრობის (იქნიდის)

ლოცვის დროს
მოსელამდე
გაგრძელდა. იმ
დროს მუჭამედ
შეამონა.

სუაკედან
ქალიშვილმა—
ზეინაბძმა ჭურჭლით
საგსე წყალი
მოიტანა. ის
გადამოსკენილი
ტიროდა. მუჟამმედ

შუაბადალმა ხელ-
პირი დაიბაბა,
ცოტაც დალია და
თავის ქალიშვილდას
უთხრა: „ნუ ტირი
ჩემთ გოგო! ეჭვი არ
არის, რომ აღლაპი
მამა შენს დაიცაგ.“

ომარი ყურანის აიათების კითხვას შეუდგა. გაპკირვევა
ბული ცოლ-ქმარი ომარს თვალს არ აშორებდა. რაც
უფრო კითხულობდა, მით უფრო ექცეოდა მისი ზეგავლუ-
ნის ქვეშ. ის მრისხსანე ომარი შეიცვალა და სხვა
პიროვნებად იქცა. დას ერქამის სახლის მისამართი
ჰკითხა და წავიდა. ომარს მისთვის უჩვეულო გრძნობა
დაეუფლა.

ნეაზის ნირითლით მიკორდა ქუქაით ხახლ მი და იქ
მყოფებს ომარის განჩრახვა შეატყობინა.

ყველა იქ მყოფმა, მუპამმედის დასაცავად ხმალი
მოიმარჯვა და ომარს დაუწყო ლოდინი, თუნდაც ეს
საკუთარი სიცოცხლის ფასად დაჯდომოდათ.

როცა ომარი ერქამის სალხში მივიდა, ირგვლივ
სიჩუმე სუფევდა. მან მუპამედ შუამავალთან შეხვედრა
ითხოვა. შუამავალმა ომარის მასთან მისვლა ისურვა
ომარი მუჟამედ შუამავალს ეახლა, მის წინაშე მუხლი
მოყენება და ადრაცებული წარმოთქვა:

- ლაპა ილაპაჟე ილლალლაპ, მუკამმედუნ რასულულ-ლაპ (არ არსებობს ღმერთი გარდა ალლაპისა, მუკამმედი კი ალლაპის შუამაგალია).

ომარმა ერქამის სახლში მყოფთა წინაშე ისლამი
მიიღო.

მისმა გამუსლიმანებამ მორწმუნები კიდევ უფრო გააძლიერა. პირდაპირ ქაბეში მივიღნენ და ნამაზი ილოცეს. მუსლიმანები მათი რწმენის მაღვის საჭიროება

ბას აღარ გრძნობდენენ. მათი რიცხვი დღიოთიდღე იზრდე ბოდა და ერქამის სახლში ვეღარ ეტეოდნენ.

ისლამზე მიპატიუება მექათი არ უნდა
შემოსახვლებულიყო. ამიტომ შეამავალი მექას გარეთ
მცხოვრები ტომების მოვლა-მონახულებას შეუდგა. ზოგ
ადგილას პატივისცემით ხვდებოდნენ, ზოგ ადგილას კი
აუტანელ შეურაცხყოფას აყენებდნენ. მრავალი წინააღმდე
მდევრიბისა და სიგლახის მიუხედავად, მუჭამედ შეა
მავალი შეუდრეკლად და სასოწარკვეთილების გარეშე
ცლილობდა, ყველას კურამდე მიეწვდინა ხმა ისლამისა.

დაშინება ოწყება

მუსლიმანთა რიცხვი იზრდებოდა, რაც დიდად
აშინებდა ურწმუნოებს. მუსლიმანების დასათრგუნავად
და იხლამის გავრცელებაში ხელის შესამლელად, მათ
საზოაგადოებაში მუსლიმანების დაცინება და გამასხარ-
ავება დაიწყეს. ყველგან, სადაც კი მუსლიმანს შეხვდე-
ბოდნენ, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხეყოფას აყენებდ
ნენ, დასცინოდნენ მუპამმედ შუამავალსაც. სადაც კი
დაინახავდნენ, მაშინვე აყვირდებოდნენ: „შეხედეთ
შეხედეთ! აი, ეს კაცი ოურმე ციდან ამბავს იღებს.“ ამი-
თაც არ კმაყოფილდებოდნენ და შუამავალს გიქს, ჯადო-
ქარსა და მკითხავს უწოდებდნენ, იმის მიუხედავად, რომ
ძალიან კარგად იცნობდნენ მას. მუსლიმანებისადმი
ურწმუნოთა გაბოროტებამ იქამდე მიაღწია, რომ მათი
ფიზიკური განადგურებაც კი განიზრახეს.

მიუხედავად დიდი ძალის ხმელეთსა, ისლამის
გავრცელებას მაინც ვერ აძრკოლებდნენ. ოჯულს
არავინ დალატობდა. ვერ გადაეწყვიტათ, რა ედონათ
მექას მოწინავე და გავლენიანი პირები შეიკრიბნენ და
მუჭამედ შუამავლის ბიძასთან— ებუ თალიბთან მისვლა
გადაწყვიტეს. მისთვის სიტუაცია უნდა აეხსნათ და ეთხე
ოვათ, რომ აღეკვეთა მუჭამედისათვის ისლამის ქადაგე
ბა.

**სარწმუნოებისათვის
პირველი
დალუპული
(შემიღება):**

იასირი და მისი
მეუღლე— სუმეიო
გმუსლიმანდენენ. ეს
რომ ურწმუნოებმა
გაიგეს, ისინი
აწამეს. ცოლ-ქარი
დარიბ- დატაქნი და
უმწეონი იუგნენ,
ამიტომაც ქომაგი
არაფინ ჟყაფათ,
მაგრამ მათ ღრმად
სწამდათ ისლამი,
ამდენად შუამაგლის
მოწინააღმდეგებ ებუ

ჯელილის მიერ
მიყენებულმა
აუტანელმა ტანჯევა
ისინი ვერ გატეხა
და კელაგ რწმენის
უსაზღვრო
ერთგულები
დარჩენენ. როცა ებუ
ჯელილმა ისინი ვერ
გადაიძირა და
საწადელს ვერ
მიაღწია, ორიგენი
შემთხვევა.

იასირი და მისი
მეუღლე— სუმეიო
პირველი
გმუსლიმანდენენ,
რომლებმაც
საჯუთარი
სიცოცხლე
ისლამისათვის
მსხვერპლად გაიღეს.

— შენს მისწულის დაელაპარაკე, შეწყვიტოს ეს საქმი-
ანობა.— უთხრეს ებუ თალიბს.

ებუ თალიბმა მისწული დაიბარა და არსებული
სიტუაცია გააცნო. მუჰამედ შუამავალმა ბიძას ჟასუხა:

— მარჯვენა ხელში მზე რომ მომცენ, მარცხენაში კი-
მთვარე, ამ საქმიანობას სიკვდილამდე თავს არ
დაგანებებ.

სინამდვილეში ებუ თალიბმა იცოდა თუ როგორ ავი-
წროებდნენ მუსლიმანებს მექაში. მისწულის შუა-
მავლობამ მასზე დიდად იმოქმედა. არ უნდოდა, მას რაიმე
ფეორაკი შემთხვევიდა და მხარეში ამოუდგა:

— ნუ გეშინია, სანამ ცოცხალი ვარ, ისინი ვერაფერს
დაგაკლებენ.— ანუგაშა მისწული.

როცა მექელი კერპთაყვანისმცემელნი მიხვდნენ, რომ
მუჰამედ შუამავალს ქადაგების შეწყვეტაზე ნებით ვერ
დაიყოლიებდნენ, გადაწყვიტეს ბრძოლის სხვა გზა ეცა-
დათ. ურთიერთ ხელშეკრულება გააფორმეს და ქაბეზე
ჩამოკიდეს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ისინი მუსლი-
მანებთან და მუჰამედის ნათესაობასთან ყოველგვარ
ურთიერთობას წყვეტდნენ მანამ, სანამ მუჰამედს ცოცხ-
ალს ან მკვდარს მათ არ ჩააბარებდნენ. შუამავლის
ნათესაობა და მუსლიმანები თფიციალურად მტრად
გამოაცხადეს, აიკრძალა მათთან საუბარიც, ვაჭრობაცა
და ქალის თხოვნა— გათხოვებაც.

ამით მუსლიმანებისათვის ხანგრძლივი გაჭირვების
პერიოდი დაიწყო. ვედარ ვაჭრობდნენ, ვედარ ყიდუ-
ლობდნენ და ვედარ პყიდდნენ რაიმეს, ამიტომ შიმ-
შილობამ და გაჭირვებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია.
ყოველივე ამის მიუხედავად, მათ არასდროს უფიქრიათ
კერპთაყვანისმცემელთათვის მუჰამედ შუამავლის

გადაცემა, პირიქით, ყველაფერი იღონეს მის დახაცავად.

ასეთ ყოფაში სამი წელი გაატარეს. ურწმუნოებს
იმედი გაუცრუვდათ და საბოლოოდ გატყდნენ. რამდენ-
იმე პირმა, რომელთა შორის მუჰამედ შუამავლის ნათე-
სავებიც იყვნენ, ქაბეზე ჩამოკიდებული ხელშეკრულება
გაანადგურა და ბლოკადაც დასრულდა. მუსლიმანები
ამ ბოიკოტმა უფრო გააძლიერა.

მწუხარების წელი

ბოიკოტი დასრულდა და მუსლიმანებმაც შვებით
ამოისუნოთქეს, თუმცა ამ მოვლენიდან რამდენიმე თვის
შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით ორი მძიმე მწუხარე-
ბაც გადაიტანეს, რამაც შუამავალს ძალიან დასწუვიტა
გული: მუჰამედ შუამავლის ბიძა— ებუ თალიბი და
მეუღლე— პატიჯე გარდაიცვალა. ორივე ეს პიროვნება
დიდ დახმარებას უწევდა მას თავისი მისიის განხორ-
ციელებაში. უმძიმესი განსაცდელის დღეებშიც კი,
არცერთ მათგანს არ მიუტივებია იგი, ორივე ბოლომდე
ედგა მხარში. მისთვის ორივე განსაცდელის დღეების
თავშესაფარს წარმოადგენდა. „ამ დღეებში ჩემს მიმდე-
ვართა თავს დამტყდარი ამ ორი უბედურებიდან, არ ვიცი
შემდგომში რომლით უფრო დაგზარალდები.“— თქვა მან.
ეს წელი მისთვის მწუხარების წელი იყო.

წმინდა პატიჯე:

მუჰამედ შუამავალს
შეუღლე— პატიჯე
ისე ძლიერ შუვარდა,
რომ ის მისი
სიჯდილის
შემდეგაც ვერ
დაივიწყა. იგი
უგელთვის
სიამაგით ისესენებდა
საყვარელი მეუღლის
მხარდაჭერას,
მეგობრობასა და
თავგამოდებას.
ისესენებდა, ვინაიდან
პატიჯე მას გველაზე
დიდი განსაცდელის
დროს ედგა მხარში,
მისი მაშინ ირწუნა,
როცა ჯერ არავის
სწამდა. მუჰამედ
შუამავლის შემდეგ
ცოლი— აიშე
ცდილობდა წმინდა
პატიჯესათვის
მიებაძა.

კლეიპლეი

ახალი სამშობლოს ძიება ეთიოპია

მექაში ცხოვრება აუტანელი ხდებოდა. მუსლიმანთა
მიმართ განხორციელებული რეპრესიები ყოველდღიუ-
რად მატულობდა. ამიტომ მუჭამები შეამავალმა ახალი
სამშობლოს ძებნა დაიწყო. პირველად თხუთმეტკაციან
ჯგუფს დართო ხება ეთიოპიაში წასასვლელად. ეს მუს-
ლიმანთა პირველი ჰიჯრეთი (გადასახლება) იყო. ურწ-
მუნოები დანარჩენ მუსლიმანებზე ზეწოლას
აძლიერებდნენ. შევიწროებულ მუსლიმანებს დგომისმ-
სახურება მყაცრ პირობებში უხდებოდათ. ერთი წლის
შემდეგ ამჯერად ასკაციანი ჯგუფი მაღლებად წავიდა
ეთიოპიაში. მექელმა ურწმუნოებმა, წინააღმდეგობის
გასაწევად, ეთიოპიაში ელჩები გააგზავნეს.

ეთიოპიის მეფის ნეჯაშის წინაშე წარმსდგარმა ელჩებმა ხელმწიფეს ძვირფასი საჩუქრები მიართვეს, როცა მათ მეფებმ ვინაობა ჰკითხება, უბასუქებს:


— ჩვენ მექადან მოვდიგართ. მექადან გამოპარული და
ოქენეს ქვეყანაში თავშეფარებული ადამიანების წახაფ-
ვნად მოვალით.

- რატომ გინდათ ამ ადამიანების უკან წაყვანა?-
დაინტერესდა ნეჯაში.

ელჩებმა აუხსნეს, რომ მექადან ეთიოპიაში ჩამოსულებმა წინაპართა სარწმუნოებას უდალატეს, მუხლიანობა იწამეს და მის გავრცელებას ცდილობენ, გვინდა, წინააღმდეგობა გამჭვიოთო.

